

22. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ, 1995 წლის 1 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის ~~კანონი~~ საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ.

გარდამავალი დებულებანი

(...)

მუხლი 2.

ა) აფხაზეთში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნამდე 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ პირებს, რომლებიც ამ კანონის მიღების დროისთვის არიან საქართველოს პარლამენტის წევრები, უგრძელდებათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. აფხაზეთში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნების დღის დანიშვნისთანავე მათი უფლებამოსილება შეწყდება.

გ) იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის ა) პუნქტით გათვალისწინებული პარლამენტის წევრი რეგისტრირებული იქნება პარლამენტის წევრობის კანდიდატად, მას უფლებამოსილება არ უგრძელდება...

(...)

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე _ სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე**.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი: **ვახტანგ გოგუაძე**.

1995 წლის 1 სექტემბერი.

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", #117, 1995 წლის 7 სექტემბერი)